



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 64

2016 წლის 4 ივლისი

ხაშური



ა(ა)იპ სავანესათვის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში 2016 წლის 24 ივნისს შემოვიდა ა(ა)იპ „სავანე“-ს №138 მომართვა, რომლითაც ითხოვს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხაშურში, გორგასლის ქუჩაზე (ს/კ 69.08.68.164) მდებარე უძრავი ქონების უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემას, რათა ჰქონდეს შესაძლებლობა განახორციელოს აღნიშნული ფართზე წესდებით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების შესრულება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-6 პუნქტის და ა(ა)იპ სავანეს №138 მომართვის შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი 69.08.68.164) უსასყიდლოდ, პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის ფორმით, ა(ა)იპის არსებობის ვადით გადასცეს ა(ა)იპ სავანეს (ს.კ 443856944);
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ხაშური, მ.კოსტავას ქ. №15);

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე